N213 2015 წლის 15 მაისი ქ. თბილისი

„საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 დეკემბრის №315 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 დეკემბრის №315 დადგენილებით (www.matsne.gov.ge; 06/12/2013, 480040030.10.003.017482) დამტკიცებული იმ ქვეყნების ნუსხაში, რომლებშიც აკრედიტებულია საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები (დანართი №2), შეტანილ იქნეს ცვლილება და 29-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„29. საქართველოს საელჩო საუდის არაბეთის სამეფოში აკრედიტებულია ომანის სასულთნოში, ბაჰრეინის სამეფოსა და იემენის რესპუბლიკაში.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**